ხელნაწერი: ... (H-2055), XIX ს.

მინაწერები

1r

ეკუთვნის კნეინა ნინოს ივანეს ასულს ყარალთოვოსას. ეს წიგნი შეიცავს თავიდამ ორას ფურცელს

2r

შენ შემოქმედო სოფლისა ღ˜თო ყ˜დ დიდებულო
არვისაგან საცნაურო ანგელოსთაგან ქებულო
მართალნო მშვიდო ძლიერო უზომოდ განდიდებულო
შენ ჩემს ცოდვისთჳს ქვეყნად განცხადებულო
ვნებულ ჯვარცმულო აღდგომილ და ზეცად ამაღლებულო

რადგან მაქუს შენი ბეჭედი თავსა მკერდსა და ფერხთაცა
ამას თუმც ვსწერ მე გაქებ არ ვიქმ საქმეს საძრახთაცა
ვარ და ვიქმნები მაქებელ შენთა ნიჭთა და მადლთაცა
თუ მძრახონ არ მგამა ჩემებრ უვიცთა კაცთაცა

2v

ვინც ნახოთ ესე წიგნი რაც იცით იგი გონეთ
არამ მარგო ამის ვიდე რისმცა წერა რა ვიგონეთ
ვეფხის ტყავი ცოტა უკან გვერდი ჩემიც გაიგონე
და ჩემის აზრით შემტყობთა სიყვარულით გამიგონეთ

ტყუილ იყო გინა მართალ დრო აქვს ყველას თავ- თავისი
კაცმან თუ ქნას თავ თავის დროს აზრახა არვისი
ვინ დრკუებდეს მონა არის ეშმაკისა არა სხვისი
პირველ ყველა კარგა გონოს შემდგომ კბენდეს სინდისი

მღერა მისი იადონსა არაოდეს არ უზრახეს
მისი ოდენ გულ ვარჯობა არვისისა არ ესხავის
მისებრ მართლად მღერდეს კაცი და რაცა სთქვას არ ეზრახვისა
დროთ გამოსთქუას გაგონილი და იგიცა რაც ენახოს.

პირველი და მჯობი არის ყველას უმეტ სიყვარული
ბევრი გვყვეს რა მოყუარენი არ მოგაკლდეს სიხარული
აწ მტრობითა რამცა ირგო გქონდეს მისგან არცა რული

ზეზნი უკმო გრეხილნი მალმაცა იქმნას დაცარული

ბედნიერსაც უბედობა ერთის რამე მხრით ეწევის
თუ დაუთმოს განსაცდელსა ღმერთი მალე შეეწევის
ნუმც ვინ ზრუნავს გონებასა უღელს ვინამ ეწევის
ვერაგო ბოროტება ერთხელც არის მოწევევის

3r

გირჩევთ ყველას ერთგულებიტ ქრისტეს მონა თუ იქნებით
დაუთმობდეთ ერთმანეთსა და თუ გცემდენ ჯოხ ჩლიქებით
მაშინ აქაც სვიანნი რვთისგან მუნც იქებით
აბა მითხარით რასა ირგებთ ერთმანეთის განქიქებით.

სადაც არის სიყვარული ღმერთი მუნით არ იქცევის
და თუ ღმერთი არ აშენებს სახლი მაშინც დაიქცევის
ფუჭი არის ყოველივე თქვენი მისთჳს ფიცხი ქცევა
სიყვარული დასხდებოდეთ ამ წიგნით გქონდესთ შექცევა

მინდა მეც განვაგრძელო ვსწერ გძლათ სწავლა ლექსი
ათასამდი მაინც იყოს რას მეყოფის ხუთი ექვსი
მაგრა რა ვქნა რუსთველსა აღერება წიგნთა სქესი
მეშინის არ წამოხტეს არ აჯახოს ლექსთა ლექსი
რუსთაველო ახ თუ დრო გაქუს მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ
ადექ მოდი ერთად დავსხდეთ ერთად ვსწეროთ მაშინ გნახავ
ნაგაზივით წამოგწვდები ეს მე ვიცი ვერ გაგლახავ
ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ რაც გინახავს.

დაბლა ნუსხურად მიწერილია გადამწერის სახელი: *Հոեաառբաև*

5r

ამ მუხლსა სიტყუწბი წყნარა წყნარა წაიარე

მინიატურების მინაწერები

7v

მინიატურის დაბლა დიდი ლამაზი ასოებით წერია ტარიელი.

8r

ტარიელს კარგსა მოყმესა მკლავ მაგარსა ძალიანსა

პირად ვარდსა ტან საროსა გული მისი რკინიანსა
უხუს უშურველსა გამცემსა ტკბილ საუბარსა წყლიანსა
მით ქება ნესტან დარეჯანს რათ ეთქმის პირად მზიანსა

8v

შოთა რუსთაველის წიგნს აწერია: „მე რუსთველი ხელობითა“

90r

მინიატურის დაბლა შემდეგი მინაწერია: „მაშინ ამაზე მეტი არა იცოდნენ რა“

186v

1803
შევიდეს ნახეს[.....]
ნახვა მის მზისა ნათლისა მის თვალად არ დუხჭირითა
იამა უქეს ვარდისა ხელი მძლედ დანამჭირისა
ეგე ქმა სიმხნე სიმხნისა რადღა ხარ მომხვეჭირისა
1804
გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა
მას დღე იხარებს სმისა და ჭამის არ მოწყენითა
კულა საწოლს დახვდა მას მზესა მუნცა სიტყვითა ბრძენითა
მისვლა უბრძანა იამა თქმა არ ეგების ენითა

187r

1805
ყმა წავიდა მხიარული ლმობიერი არ გამწყრალი
ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული ფერნამკრთალი
ყმა სოფლისა ხასიათი ჯავარი და სრული ლალი
მაგრა ქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი
1806
მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული არ ნადევრი
წყლად ეფრატსა უხვად ურწყო ედემს რგული ალვა მჭევრი
ბროლ ბალახშსა აშვენებდა თმა გიშერი წარბი ტევრი
მე ვინ ვაქებ ათენს ბრძენთა ხამს აქებდეს ენა ბევრი
1807
ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა
სხენან სავსენი ლხინითა ორთავე შესატყვისითა
უბნობენ ლაღნი წყლიანნი არა სიტყვითა მქისითა
უთხრა პოეა პატიჟნი ნახენ ძებნითა ვისითა
1808

კადრა რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა
ხსოვნა არა ხამს ჭირისა ვით დღისა გარდასრულისა
ვპოვე ხე ტანი ალვისა სოფლისა წყალთა რწყულისა
მუნ პირი მსგავსი ვარდისა მაგრა აწ ფერნაკლულისა
1809
მუნ სარო მსგავსი ვარდისა ვნახე მისჭირდა მინები
იტყვის დავკარგე ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინები
მით ვიწვი რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწუავს მოუთმინები
მერმე კულა კადრა ამბავი მან მისგან მონასმინები

187v

1810
სიარულსა მისგან ძებნად სრულ პატიჟთა მოსთვლის ჭირსა
მერმე კადრა საწადლისა ღმერთმან პოვნა ვით აღირსა
საწუთრო და სოფელს ყოფა კაცი უჩსო ვით ნადირსა
ოდენ ხელი მხეცთა თანა იარების მინდორს ტირსა
1811
ნუ მკითხავ ქება რა გკადრო ჩემგან რა გაგეგონების
მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების
თვალი მჭვრეტელი ვით მზისა ციაგსა დაეღონების
ვარდი არ ქნილი ზაფრანად აწ ია შეიკონების
1812
წვრილად კადრა რა იცოდა რა ნახული რა ნასმენად
ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქო სახლად მენად
ქალი ახლავს სასურველად სულთა დგმად და ჭირთა თმენად
ვაი სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა დენად
1813
ქალსა რა ესმა ამბავი მიხვდა წადილი ნებისა
განათლდა პირი მთუარისა ვით ნათლად ნავანებისა
იტყვის რა უთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა
რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა

დაბლა სხვა ხელით მიწერილია შემდეგი: „აქ სულ არეული არის“

193v

აქ რამდენიმე მუხლი აკლია დედანი არა მქონდა და ვინცა ჩაიგდოთ ხელში ჩაასწორეთ

195v

ვინცა ყოვლი განარჩია მაღალ დაბალი სწორები

მანვე ქმნა საქმეთ განგება არ უნდა ამას ჭორები
აღამაღლნა სიბრძნით ქცევნი ვითა ვაკეთა გორები
მისგან არს ყოვლი სოფელი კულა ვსთქვა ერთი ორები
დაბლა ნუსხურად მიწერილია გადამწერის სახელი: *Հոեաառբաև*

197r-197v

რომ არა ვცხრები ვგონივარ ამათ მისანი
სიმელნე შავთა წამწამთა სისხო სიხშირე თმისანი
აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნი მაქვს ხანა თმისანი
მისი ქუშ მზესა შემატობს წილითა ათა თმითანი

მოყვასმან ვარდის კონა გულსა მკრა და დამაწყლულა
იგი ფიცი ჩემგან წყალვით მან აღარა გამისრულა
მას თუ გამყრი საწუთროო ჩემი ლხინი გარდასრულა
სხვა მოყვარე თვალთა ჩემთა გაკიცხულა გაბასრულა

ღმერთო რომელმან შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა
აწ სოფელი და ქარვასლა ერთმანეთს შეადარეო
კუ̂ლავ სხვანი მაშენდებიან დიდი გინა თუ დამედარები
ან გამიტანე ბოლომდინ ან სული ამომგვარეო

ყდაზე

აწ მიიზიდომ ვარდო გონების სრულსა
ნიადაგ მეტრფი მშვენიერს სულსა
ყვავილო მეტრფი მშვენიერს კვალსა
თუ შეხვდე მზეო მეტრფოლე ყელსა.

ასოთხმოცდაჩვიდმეტი ფურცელი.